ხუთშაბათი, 7 ნოემბერი 1896 წ. **№ 19** ხუთშაბათი, 7 ნოემბერი 1896 წ.

რედაქცია:
ფრეილინის ქუჩა, № 13.
**ტფილისი**

ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართვენ რედაქციას დილის 1„ საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხ. გამავრცელ. საზ." წიგნის მაღაზიას.

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა.

**გაზეთის ფასი**
ერთის წლით 6 მან., :ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპ.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 10 კ., მეოთხეზედ 5 კ.

ადრესი
Тифлисъ, Фрейлинская № 13
Редакція „Цнобисъ Пурцели"

## გაზეთის ფასი ამ წლის დამლევამდე ერთი მანეთი

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე. კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:
**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—2 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.
**გ. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
**ექ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო** 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.
**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკ.
**ა. მ. პუგინოვი.** 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.
**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:
**ი. ფ. პროტასევიჩი.** 5—6 საათ. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.
**ა. მ. პუგინოვი.** 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.
**ა. ბ. ბურკო**, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.
**ა. ბ. ბურკო.** გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.
დირექტორი სამკ ნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ)

ქ. ქუთაისი
ქალაქის თეატრი
ქართული დრამატ. საზოგადოების დასის
რეპერტუარი
მესამე წარმოდგენა
კვირას, 10 ნოემბერს
**ჟან-ბოდრი**
კომედია 4 მოქმედ. თარ. ფრანგულიდგან.
ამ პიესებში მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი გაბუნია-ცაგარლისა, ავალიშვილისა, ჩერქეზიშვილისა, გამყრელიძისა, ჩხეიძისა, ივანიძისა. ბ-ნი: აბაშიძე, ყიფიანი, მარჯანიშვილი, სვიმონიძე, შათირიშვილი, ბალანჩივაძე, თუთბერიძე, ნემო, გიორგაძე, თამაზიშვილი და სხვანი.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
**დასაწყისი სწორედ 8 საათზე**
რეჟისორი ვ. ალექსი-მესხიშვილი.
ადმინისტრატორი—კ. შათირიშვილი.
(10—ფ.—6)

**კბილის ექიმი**
**ვ. ი. პიპინაძე**
ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინოვისა, 21, „ივერიის" რედაქციის ქვეშ.
ავადმყოფებს მიიღებს დილის 9—3 და საღამოს 4—7 საათამდე.

## დეპეშა

გაზეთ „ცნობის ფურცლისა".
„რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან").
5 ნოემბერი.

**პარიზი.** პრეზიდენტმა ფორმა მიიღო მენელიკისაგან შემდეგის შინაარსის დეპეშა: „ვინაიდგან ღმერთმა ინება და დაუბრუნა ჩვენს ერს მშვიდობიანობა, ჩვენ ბედნიერად ჩავთვლით ჩვენს თავს, თუ მეგობარნი ჩვენნი ჩვენთან ერთად იმხიარულებენ"-ო. პრეზიდენტმა ფორმა უპასუხა: «დიდად მესიამოვნა, რომ თქვენმა უდიდებულესობამ შემატყობინა ამბავი მშვიდობიანობისა. სულითა და გულით მომილოცავს ბედნიერად გათავება საქმისა და თქვენთან ერთად მიხარიან, ვითარცა მეზობელსა და მეგობარს.

**ბერლინი.** რეიხსტაგი. ხალხი დიდძალია. დეპუტატთა შორის არის გრაფი გერბერტ ბისმარკი. გომბეშის კითხვაზედ იმპერიის კანცლერმა სთქვა: «1887—1890 წლებში მომხდარ მოლაპარაკებაზე რუსეთისა და გერმანიის შორის მე ამ ჟამად არაფერი შემიძლიან ვსთქვა. რაც შეეხება გერმანიის პოლიტიკას რუსეთის მიმართ 1890 წლიდან, ვერც ამაზედ ვიტყვი ვერაფერს სავსებით. მიმინდვია სტატს-სეკრეტარისათვის, რომელიც მაშინ მონაწილეობას იღებდა მოლაპარაკებაში, განმარტოს თქვენს წინაშე ეს საქმე. მე დაბეჯითებით ვიცი, რომ გერმანიის მთავრობა ისე იქცეოდა, როგორც საქმის ვითარება მოითხოვდაო. რაც შეეხება იმას, ვითომც ინგლისს ჰქონოდა ან ეხლა ჰქონდეს რაიმე გავლენა ჩვენს პოლიტიკაზედ, მე ამას უარ ვყოფ, ვითარცა უსაბუთო აზრს (ვაშა, ვაშა!) გარდა ამისა, სიამოვნებით უნდა მოგახსენოთ, რომ სამთა კავშირის სახელმწიფოთა და სხვა სახელმწიფოთა შორის ამას წინად ჩამოწოლილი ბურუსი უკვე გაჰქრა (ვაშა!) და მოკავშირეთა შორის ნდობა უფრო განმტკიცდა. აგრეთვე ჩვენი და რუსეთის დამოკიდებულება ყოველთვის კარგი და მეგობრული იყო (ტაშის ცემა ყოველ მხრიდგან). იმპერიის კანცლერის შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა მარშალმა და იგივე სთქვა, რაც კანცლერმა. რეიხსტაგი განაგრძობს საქმეთა განხილვას.

**რომი.** ნერაცინიმ შემდეგი დეპეშა გაუგზავნა იტალიის მთავრობას: «დღეს მოვაწერე ხელი მორიგებასა და ხელ-შეკრულობას, აგრეთვე ტყვეთა განთავისუფლების პირობას". ხელ-შეკრულობა იწყება ჩვეულებრივის წინასიტყვაობით, რომელიც აღნიშნავს სურვილს უწინდელ მეგობრობის განახლებისას. შემდეგ ნათქვამია, რომ ამიერიდგან უნდა დამყარდეს ჩვენ შორის საუკუნოდ მშვიდობიანობა და მეგობრობა. მეორე მუხლი შეეხება უიჩიალის ხელ შეკრულობის გაუქმებას, მესამე—ეთიოპიის დამოუკიდებლობას. მეოთხე მუხლი ამბობს: რადგანაც ჯერჯერობით ორთავე მხარეს ვერ გადუწყვეტია, სად უნდა დაიდოს საზღვარი, ეს საქმე დაევალოს ორთავე სახელმწიფოთა საგანგებოდ არჩეულ კაცებს, რომელნიც ერთმანერთის თანხმობით დასდებენ საზღვარს ერთის წლის განმავლობაში, ხოლო იმ დრომდე საზღვრად უნდა იყოს მარებ-ბელეზა მუნა. მეხუთე მუხლი: საზღვარის დადებამდე იტალიას ნება არა აქვს სხვა სახელმწიფოს ადგილი დაუთმოს და თუ დაუთმო, ეს ადგილი შემდეგ ისევ ეთიოპიას უნდა ჩაბარდეს. მეექვსე მუხლი: ვაჭრობის გასაძლიერებლად შეიძლება დაიწეროს საგანგებო ხელ-შეკრულობა. მერვე მუხლი: ხელ-შეკრულობა დამტკიცდება ერთის თვის შემდეგ ხელის-მოწერის დღიდგან. ტყვეთა შესახებ პირობაში სწერია: ა) ხელ-შეკრულობის გამო ტყვეები თავისუფალნი არიან. მოვა თუ არა დეპეშა ხელ-შეკრულობის დამტკიცებაზე, მენელიკი ტყვეებს გაგზავნის ხარრარზე. ბ) იტალიის „წითელის ჯვრის" საზოგადოებას ნება აქვს გილდერში დაუხვდეს ტყვეებს. გ) რადგანაც იტალიის რწმუნებულმა შეიწყნარა დიდი ხარჯი ეთიოპიისა ტყვეთა შენახვაზედ, სამართლიანობა მოითხოვს, იტალიამ ეს ფული გადიხადოს. იმპერატორმა განაცხადა, მე არ დავნიშნავ ფულის რაოდენობას და სრულიად ვენდობი იტალიის სამართლიანს გრძნობასაო.

**რომი.** იმპერატორმა დეპეშით მიულოცა დი-რუდინის აბისინეთთან ხელ-შეკრულობა. სტატს-სეკრეტარმა მარშალმა ინახულა იტალიის ელჩი და გერმანიის მთავრობის მაგიერ მიულოცა მშვიდობიანად გათავება საქმისა.

**რომი.** მოლოდინი აქვთ, მეფე ჰუმბერტო დეპეშას გაუგზავნის მენელიკს და იმ წამსვე გამოჰგზავნიან ტყვეებსო.

**რომი.** მეფემ საღამოთი დაამტკიცა აბისინეთთან ხელ შეკრულობა მთავრობამ ეს მაშინვე შეატყობინა ნერაცინის.

**პეტერბურგი.** 1 ნოემბერს ზნამენსკის სასახლეში, მათ იმპერატორებით უდიდებულესობათ და უმაღლესობათა თანადასწრებით მოხდა ნათლობა თავადის რომან პეტრეს ძისა.

**ბერლინი.** მარშალმა თავისი სიტყვა ასე დაამთავრა: „ეგ ბრალდება და საყვედური მხოლოდ იმით არის საყურადღებო, რომ იგი მნიშვნელობას აწერს რუსეთისა და საფრანგეთის დამოკიდებულებას, რომლის გაზვიადებას ამაოდ სცდილობდნენ საზღვარგარეთ ჩვენი მტრები. (ყური და-

უგდეთ). ეს გარემოება გვაფრთხილებს ჩვენ, რომ საჭიროა დავუბრუნდეთ დამშვიდებულს მოლოდინს. ამას მოითხოვს თვით საქმის გარემოება და ჩვენი ღირსება. ის საკითხნი, რომელნიც წინ გამოსწია ეხლანდელმა პოლიტიკამ და რომელთა გადაწყვეტას, უეჭველია, მთელი წლები დასჭირდება, ხელს უშლიან ყველა ხმელეთის სახელმწიფოს დაიწყოს ომი, რომელსაც მოჰყვება მისი დასუსტება. ზემოხსენებულ საკითხთა გარდაწყვეტის დროს ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ იმ სახელმწიფოებთან ერთად, ვისთანაც შარშან ვმოქმედობდით. გერმანიის პოლიტიკა კვლავ ადგია ავსტრიასა და იტალიასთან კავშირს; ამასთანავე ჩვენ ვეცდებით ვიქონიოთ კეთილი განწყობილება რუსეთთან და აგრეთვე ყველა სხვა სახელმწიფოებთან, მაგრამ იმავე დროს მუდამ მზათ ვიქმნებით გადავხაროთ სასწორი მშვიდობიანობისა ჩვენის მძლავრობის სიმძიმით. ამ პოლიტიკისა და ჩვენის ძალ-ღონის წყალობით ჩვენ მუდამ მზად ვართ დავუმტკიცოთ ყველას ჩვენი ერთობა, რომლის მადლიერნი უნდა ვიყვნეთ ჩვენის დიდის იმპერატორისა და დიდის კანცლერისა; ჩვენ არხეინად შეგვიძლიან შევუდგეთ ჩვენის წარმატების საქმეს და სრულის იმედით ვუყუროთ ჩვენს მომავალს ბედ-იღბალს.

**ბერლინი.** იმპერატორმა ვილჰელმმა გაუგზავნა დეპეშა მეფე ჰუმბერტოს და მიულოცა მშვიდობიანობის ხელ-შეკრულობა.

**ვენა.** გაზეთები სრულიად დაკმაყოფილდნენ გერმანიის რეიხსტაგში წარმოთქმულ მოხსენებით და ამბობენ, ამიერიდგან სამთა კავშირი უფრო გაძლიერდაო.

**ვენა.** მეფე და დედოფალი საბერძნეთისა სალამოთი ვენეციაზე ათინაში წაბრძანდნენ.

**სოფია.** პეტკო ტოპრალეშტოვი, სტოილოვის საკუთარ მდივნად ნამყოფი, დანიშნულ იქმნა მინისტრთა საბჭოს უმთავრეს მდივნად. ქალაქის საბჭოს უკანასკნელ კრებაზედ დიდი კამათობა გამოიწვია სოფიაში არხების გაკეთების საქმემ. ქალაქის მოურავმა ნაჩევიჩმა და საბჭოს ექვსმა წევრმა მიატოვეს საბჭოს დარბაზი და სამსახურს თავი დაანებეს.

**ბომბეი.** განზრახვა აქვთ შეუდგნენ რკინის გზების გამართვას, რათა დამშეულ ხალხს სამუშაო მისცენ. უნდა დაიხარჯოს 27 მილიონი რუპი. საჭირო იქმნება დიდძალი ფულის სესხება ინგლისისათვის.

# ახალი ამბავი

⁂ გუშინ, 6 ნოემბერს, განსვენებულის იმპერატრიცის ეკატერინე მეორის გარდაცვალების დღიდგან ასის წლის შესრულებისა გამო, სიონის საკათედრო ტაძარში გარდახდილ იქმნა მოსახსენებელი წირვა და პანაშვიდი იმპერატრიცა ეკატერინე მეორის სულის მოსახსენებლად.

წირვასა და პანაშვიდს დაესწრნენ უმთავრესნი წარმომადგენლნი კავკასიის ადმინისტრაციისა, გენერლობა და მრავალი ხალხი.

⁂ გუშინ, 6 ნოემბერს, შუადღის 12 საათზედ, ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლაში გარდახდილ იქმნა პანაშვიდი გარდაცვალებულის ხელმწიფე იმპერატრიცა ეკატერინე მეორის სულის მოსახსენებლად, ასის წლის შესრულების გამო მის გარდაცვალებიდან. პანაშვიდს დაესწრნენ ყველა მასწავლებელნი და მოწაფენი.

⁂ ბ-ნმა ვ. ლ. ველიჩკომ, რომელიც უკვე დამტკიცებულ იქმნა გაზეთ „კავკაზის“ რედაქტორად, გამოაცხადა თავისი პროგრამა. ამ პროგრამიდგანა სჩანს, რომ 1897 წლიდგან გაზეთი დიდს ყურადღებას მიაქცევს ჩვენს ქვეყანას, მის ეკონომიურს ვითარებას, ეთნოგრაფიას და აგრეთვე ლიტერატურას. ბ-ნი ველიჩკო გვპირდება კიდევ, რომ „კავკაზში“ დაიბეჭდება ხოლმე საუკეთესო თხზულებანი ძველ და ახალ ქართველ მწერალთაო.

სრულიად დარწმუნებულნი ვართ, რომ ბ-ნი ველიჩკო, როგორც ნიჭიერი და გამოცდილი მწერალი ამ სასიამოვნო დაპირებას კიდევაც შეასრულებს. ვისურვებთ ჩვენის მხრივ, რომ ჩვენი საზოგადოებაც, რამდენადაც შეეძლება, დაეხმაროს მას ამ საქმეში.

⁂ ჩვენის გაზეთიდან მკითხველებმა იციან, რომ გაზეთი „კასპი“ ბაქოს მილიონერს თათარს თაღიევს უყიდნია. რედაქტორად, როგორც „ნოვოე ობოზრენიე“ ამბობს, ანუ გაზეთის უმთავრეს თანამშრომლად რედაქტორის უფლობით, მოუწვევია ცნობილი შახტარტინსკი მაჰმედ-ალა, რომელიც კარგა ხანია რუსულ გაზეთებში სწერს. ამრიგად, კავკასიაში ერთი რუსული გაზეთი თათრების სურვილის გამომსახველი შეიქნება.

⁂ რუსულ გაზეთებში სწერენ, რომ მომავალ წლიდან სატელეგრაფო დაწესებულებას აზრად აქვს გაამრავლოს ტელეფონის მართულები ყველგან, ასე რომ მომავალ წელიწადს მთელს რუსეთში ტელეფონის სიგრძეს მოემატება 2100 ვერსტი.

⁂ წარსულ თვის დამლევში პეტერბურგის სახელმწიფო საბჭოს მოუსმენია წინადადება შესახებ საბეგა-

---

ვაჭრების საყურადღებოდ.

## როტშილდები

და

მათი ვაჭრობა.

II *)

სანამ მაიერის შვილების ამბავს მოგითხრობდეთ, ორიოდ სიტყვას ვიტყვით ამათ დედაზედ:

გედულა როტშილდისამ ქმრის შემდეგ იცოცხლა 37 წელი და მოკვდა 1849 წელს. ის მუდმივ ცხოვრებდა ფრანკფურტის პატარა ქოხში და არაფრის გულისათვის არ გამოიცვალა საცხოვრებელი ალაგი, თუმცა მილიონერები შვილები ძალიან სთხოვდნენ ამას. გედულას სწამდა, რომ ყოველი ბედნიერება მისი ოჯახისა დაირღვევა, თუ მოსცილდება იმ ქოხს, რომელშიაც სცხოვრებდა მისი მაიერი, და რომლის კარებში მილიონები ცეკვა-თამაშით შემორბოდნენ. ეს ქოხი იყო ქვა-კუთხედი, მაგარი საძირკველი, რომელზედაც უნდა აშენებულიყო ბაჯაღლო ოქროს კოშკი იმ მილიონებისაგან, რომელთაც მომავალში კიდევ მიუმატებდნენ თავიანთ მილიონებს გედულას და მაიერის შვილები. მართლაც ამ ქოხში დაიწყო როტშილდების სიმდიდრე, და მაიერის შვილები ყოველთვის დიდს საქმეს, დიდს პროექტს აქ შეადგენდნენ. აქ უნდა მოვიხსენიოთ, რომ მაიერის სიკვდილის შემდეგ, მისმა შვილებმა დაიყვეს თითქმის მთელი ქვეყნის საბანკო ოპერაციები და ამნაირად ანსელმი მეფობდა გერმანიის ბირჟაზედ, ნატანი—ინგლისისა, სოლომონი—ვენაში, შარლი—იტალიაში, ჯემსი—პარიზში. როდესაც მოაწევდა წამი მილიონის შეთამაშებისა ბირჟაზედ—ყველანი მოგროვდებოდნენ ფრანკფურტში—მივიდოდნენ დედასთან, ქოხში, დადებდნენ პირობას, შეადგენდნენ ახალ გეგმას, მიიღებდნენ დედისაგან კურთხევას და ქვეყანა ორი-სამი კვირის შემდეგ გაიგებდა ამ ქოხში თათბირის შედეგს—გაიგებდა იმით, რომ ევროპის ყოველ სატახტო ქალაქების ბირჟაზედ ოქროს ტომრები ხტუნვას იწყებდნენ და ამ ხტუნვას არ გაათავებდნენ, სანამ როტშილდების სალაროებში არ მოგროვდებოდნენ.

ვიდრე გედულა სცოცხლობდა, იმის შვილები, მამის ანდერძის თანახმად, არც ერთ საქმეს არ ჰკიდებდნენ ხელს—თუ ის არ დალოცავდა, არ ურჩევდა და მართლადაც გედულა ისეთი ჭკვიანი, მაგარი ხასიათის, გამჭრიახე და გონიერი იყო, რომ დიდს სამსახურს უწევდა შვილებს, შველიდა რჩევით და დარიგებით. სიკვდილის დღემდე შერჩა მას ეს მხნეობა და სალი ჭკუა.

აი რასა სწერს შესანიშნავი მგოსანი გერმანელებისა ჰეინე ამ ქალზედ:

„აქ, ამ პატარა ქოხში სცხოვრობს ქალი—ლეტიცია *), დედა ევროპის ბირჟის ნაპოლეონებისა. სცხოვრობს იგი ისევ იმ ტალახიან ურიების ქუჩაზედ, თუმცა იმის შვილებს ოქროს სასახლის აგება შეუძლიანთ მისთვის, მაგრამ ამას არ სურს... არ ამაყობს ამ სიმდიდრით... ერთი ვნება სჭირს მხოლოდ ამ გასაოცარ მოხუცს—თუმც ის 90 წლის არის—მაგრამ ყოველდღე დაიარება თეატრში და დიდის ყურადღებით ისმენს, რაცა ხდება სცენაზედ.... დღეს, უქმეა, და იმის ფანჯრებზედ თეთრი ფარდები ჰკიდია—ნიშნად იმ დიდებულ დღისა, როდესაც იუდა მაკკაბელმა თავისუფლება მიანიჭა თავის მოძმეთა სამშობლოს“.

რასაკვირველია, ურიების განთავისუფლება როტშილდების მილიონების საშვალებით—მგოსნის ოცნებაა და დავტოვოთ იგი ამ ოცნებებით, გამოვეთხოვოთ ყოვლად ღირსეულს მანდილოსანს—გედულას და დავუბრუნდეთ მისი შვილების ამბებს.

ისინი მიჰყვებოდნენ მამის კვალს და, როგორც ის, სარგებლობდნენ მაშინდელ ევროპის არევ-დარეულ საქმეებით. ოცი წლის განმავლობაში (1792—1812) განუწყვეტელი ომი იყო მაშინ... ვაჭრობა თითქმის მოისპო, ვისაც შეეძლო იარაღის ხმარება, ყველა ომის ველზედ გაჰყავდათ... ყველა მართებლობას, ყოველ სახელმწიფოს ოქრო სჭირდებოდა და როტშილდები მზათ იყვნენ თავიანთი მილიონებით. ამათ ისეთი დრო შეხვდათ, რომ რა რიგ პირობითაც ნებავდათ, იმ პირობით სესხულობდნენ მათგან ფულებს.... ესენი იყვნენ ბატონები საქმისა და დროის. უამათოდ ვერც ერთი სახელმწიფო ვერას გაბედავდა.. რასაკვირველია, რომ ამისთანა დროით სარგებლობას, გამოცდილნი, ჭკუით სავსე და ანგარიშის ზედ-მიწევნით მცოდნე როტშილდები ახერხებდნენ და ოქროს ტომრებს—ოქროს ტომრები ზედ ეწყობოდა.

ამ დროსვე იყო საფრანგეთის მმართველად, ხელმწიფედ, იმპერატორად—გასაოცარი კაცი ნაპოლეონ დიდი, პირველი. ამ კაცმა მთელი ევროპა ყირამალაზე დააყენა—დღეს

*) იხ. „ცნობის ფურცელი“ № 18.

*) ლეტიცია—ნაპოლეონ I დედის სახელი.

რო (პოდატნოი) ინსპექტორების თანაშემწეთა თანამდებობის შემოღებაზე მთელს რუსეთში.

*** ს. საჩინოში შარშან მომხდარ ურიების წინააღმდეგ არეულობის საქმეს ქუთაისის საოლქო სასამართლო გაარჩევს ამ თვის 20-ში. ამ საქმეშიაც ბრალი ედებათ ოთხმოცამდე ქრისტიანს.

*** ნოემბრის დამლევს პეტერბურგში მოხდება მეათე კრება რუსეთის საკრედიტო დაწესებულებათა წარმომადგენლებისა. კრებამ უნდა განიხილოს საგნები შესახებ ფულის მიცემისა სესხად იმ შენობათა გირავნობით, რომლებიც აგებულია ეგრედ წოდებულ ჩინშევის მიწაზედ (საზოგადო მფლობელობა მიწისა), მიენიჭოთ ბანკებს უფლება გასცენ გრძელ ვადიან სესხად ვენახების გირავნობით ახალ წესზედ. გამოირკვეს, რა მოვალეობა აქვს პოლიციას იზრუნოს, რომ დაგირავებულმა მამულმა ფასი არ დაჰკარგოს; ნება მისცეს საადგილ-მამულო ბანკებს გირავნობის ფურცლებით ფული გამოიტანონ სახელმწიფო ბანკიდგან და სხვა.

*** ფინანსთა სამინისტროში გადაუწყვეტიათ, რომ დღეიდან სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკებიდან შედარებით წინანდელთან გაძნელდება სესხის მიღება, ხოლო სამაგიეროდ დაგირავებული მამულები ისრე ადვილად არ გაიყიდება, როგორც დღემდე იყიდებოდა ხოლმე.

*** ყარსის რკინის გზის გამგე ინჟენერი ვურცელი პეტერბურგში დაუბარებიათ ამავე გზის გაყვანის თაობაზე.

*** ამ ერთის თვის წინად ხმოსანმა ხუდადოვმა წინადადება შეიტანა ქალაქის საბჭოში მასზედ, რომ ქუჩების განათება ჩამოერთვას იჯარადარს და გარდაეცეს გამგეობასაო. ამ საგნის შესახებ საბჭომ ამოირჩია განსაკუთრებული კომისია, რომელსაც დაავალა გამოიკვლიოს, რა უფრო ემჯობინება, იჯარის დარჩენა საგაისოდაც თუ გამგეობის აგენტთა მიერ წარმოება საქმისა. წარსულ თვის განმავლობაში კომისიამ გამოიკვლია საქმის ვითარება და უკვე წარუდგინა გამგეობას თავისი მოხსენება. კომისიის აზრით, უკეთესი იქმნება, რომ ქალაქმა თვითონ აწარმოვოს ქუჩების განათებაო, რადგან იჯარადარი ყოველთვის იმ მეცადინეობაში იქმნება, რომ შეძლებისამებრ მომეტებულს გამორჩეს ქალაქს, ნაკლები ხარჯი გასწიოს მუშებსა და ნავთზე, აგრეთვე ფარნების სისუფთავეზედო. ეხლა ქალაქი იჯარადარს აძლევს თითო ფარნის განათებაზე 8 მანათსა და 40 კ. წელიწადში; ხოლო უკეთუ გამგეობა თითონ გაუძღვება ამ საქმეს და არ დაზოგავს არც ნავთს და არც შესაფერ მუშას, თითო ფარანი დაუჯდება 11 მან. და 48 კ. კომისია ურჩევს საბჭოს ოთხ ნაწილად გაჰყოს ქალაქი და ყველგან დაიქირავოს თითო სახლი მუშათათვის, დაიჭიროს ორი ცხენოსანი კაცი, რომელთაც ყოველ დღე და ღამე უნდა ათვალიერონ ფარნების მდგომარეობა და ჯეროვანი ყურადღება იქონიონ მათზედ. ამ შემთხვევაში ქალაქის წლიური ხარჯი განათებაზედ მოიმატებს თითქმის რვაას თუმნამდე, ე. ი. დაჯდება 28,700 მან. უეჭველია, საბჭო არ შეუშინდება ამ მომატებას და ეცდება, როგორმე წესაერებაში ჩაგდოს ეს ყოვლად საჭირო საგანი ქალაქის კეთილ-განწყობილებისა.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ გამგეობის ბეითალი შიო დედაბრიშვილი ანებებს თავს ქალაქის სამსახურს და გადადის მაზრის ბეითალად. საგუბერნიო ექიმმა ამის გამო ქაღალდი მოსწერა გამგეობას, დაბრკოლება ხომ არა არისრა დედაბრიშვილის ახალ დანიშნულების მიღებაზედაო. გამგეობა დაბრკოლებას არასა ჰხედავს, რადგან ბ-ნ დედაბრიშვილის ადგილზედ აპირობს მოიწვიოს ბ-ნი ვართანიანცი, რომელმაც შეასრულა სწავლა ამ შემოდგომაზედ და რომელსაც უკვე დეპეშით აცნობა, რომ იგი დანიშნულია ქალაქის ბეითალადო.

*** რუსეთის გაზეთები იუწყებიან, რომ სახელმწიფო საბჭოში, სხვათა შორის, შემდეგი საგნებია განსახილველად წარდგენილი საერო განაილებას სამინისტროსაგან: 1, ყოველ წლივ, 1897 წ. 1 იანვრიდგან დაწყებული, სამინისტროს ეძლიოს 17,989 მანათი ბაქოში დაბალ ხარისხის სატეხნიკო სკოლის დასაარსებლათ და შესანახავით; ამ სკოლასთან ერთად დაარსებულ იქმნება სახელოსნო განყოფილებაც. 2, ჯამაგირის 2 % გამოერიცხოთ ხოლმე ყველა იმ მასწავლებელთ, რომელნიც სახელმწიფო სამსახურში არ ირიცხებიან და კერძო გაკვეთილებით ცხოვრობენ, განსაკუთრებულის თანხის დასაარსებლად, რომლიდგანაც შემდეგში ამ მასწავლებელთ შეეძლოთ პენსია და შემწეობა მიიღონ.

---

## სამაზრო პოლიციის მატიანე

—

ბორჩალოს პოლიციამ შეიპყრო და გადასცა გამომძიებელს ოსმალეთის ქვეშევრდომნი ალი-სოფი-ოღლი, რომელმაც გაქურდა დუქანი სიღნაღის მცხოვრებ შაროევისა.

—

28 ოქტომბერს, სიღნაღის მაზრაში, იორზე, მალაროს მცხოვრები ილიკო მათეშვილი და მისი მწყემსი გიო ბაიდოშვილი თავს დაეცნენ ქუთაისის გუბერნიის, ლეჩხუმის მაზრის, სოფ. ჩქიბის მცხოვრებს ოქრუა ჩიქორაძეს, სცემეს და 49 მანათი წაართვეს.

—

აწყურის ბოქაულმა შეიპყრო ვილაც უცნობი უპასპორტო კაცი, რომელმაც სთქვა, გორის მაზრის სოფელ დემენის მცხოვრები

---

იტალია დაამარცხა, ხვალ ავსტრია, ზეგ გერმანია, ისპანია, რუსეთი! წამოვიდა სისხლის ნიაღვარი, მოიფინა მთელი ევროპის ველები მეომართა ძვლებით, შეჩერდა ვაჭრობა, როგორც ვსთქვით; მუშა აღარ იყო ოჯახში, პური არ ითესებოდა, ჭირნახულის მომწევი ბრძოლის ველზედ იყო და ფული ამისთანა დროს ისეთ საჭიროებას შეადგენდა, როგორც არც ერთ დროს... და როტშილდების მილიონებით პურსაც შოულობდნენ, საცმელსაც, იარაღსაც. მარტო ნაპოლეონის ომების დროს როტშილდებმა უშოვნეს სხვა-და-სხვა სახელმწიფოს 400 მილიონი ოქრო და ადვილი წარმოსადგენია, თუ ამდენ ფულების შოვნაში რავდენი საკომისიო და სარგებელი ერგებოდათ.

პატარა ქოხი ურიების ქუჩაზედ მთელი ევროპის ფინანსისტების მბრძანებელი შეიქმნა. მალე ამ ქოხის კედელზედ, სადაც გამოფენილი იყო უბრალო წითელის ასოებით ზედწარწერა: „როტშილდის კანტორა“, გამოხატეს ბარონის ღერბი—1815 წელს როტშილდებმა მიიღეს ავსტრიის მმართველობისაგან აზნაურობა· 1822 წელს ბრწყინვალე ბარონობა, 1823 წ. პარისელ ჯემს როტშილდმა მიიღო კომანდორის ჯვარი საპატიო ლეგიონისა; ის ჯვარი და ორდენი, რომელიც ახლა საფრანგეთის პრეზიდენტს და რამდენსამე დამსახურებულს სახელმწიფო პირთ ეძლევათ. და ბოლოს ინგლისში მაიერის შვილის-შვილს ანტონის მისცეს ლორდის წოდება და მით მიაკუთვნეს ინგლისის უძლიერეს არისტოკრატიაში შესაფერი ალაგი.

ახლა ცალ-ცალკე მოგითხრობთ როტშილდის შვილების ამბავს: დავიწყოთ ყველაზედ უძლიერესის მესამე შვილის ნატან როტშილდისაგან:

### III

### ნატან როტშილდი და ლონდონის ბანკი.

ნატანი ყმაწვილობაშივე გასაოცარი თვისების იყო. მამა მაიერი ყველაზედ უფრო ამის ნიჭს და მოხერხებას ენდობოდა. წიგნის კითხვა-სწავლა ამას არაფრად მიაჩნდა, მაგრამ რაც შეეხებოდა ბანკის ოპერაციებს, ფულების მოგებას, „ოქროს გაზრდას“ ეგ ყოველივე 12 წლისამ ისე იცოდა, თითქოს ვაჟკაცმა... როტშილდის ფირმას, რასაკვირველია, ინგლისის ვაჭრებთანაც ჰქონდა საქმე და მამამ 18 წლის ნატანს მიანდო განსაკუთრებით ინგლისთან დაიჭიროს კავშირი. ნატანი ისე გამოჰახრაკდა საქმეში, რომ სხვა ვერავინ უდრიდა. ის იყო გამბედავი, უყვარდა ყველაფრის მალე შესრულება, ერთს წამში მოიაზრებდა, სად უნდა დაეტაკოს, რომელი საქონელი იყიდოს, რომელის ფასი დასცეს და მერმე ასწიოს—ე. ი. აუხსნელი ფინანსისტის ნიჭი გამოიჩინა. ამ გვარი კაცისთვის ვიწრო სარბიელი შეიქნა უბრალო საქონლით ვაჭრობა და 22 წლისამ გადასწყვიტა ლონდონში დაეარსებინა ბანკი თავისი სახელით და ფულით ევაჭრნა—ე. ი. ეყიდნა ნაკლებ ფასებში სხვა-და-სხვა აქციები, ობლიგაციები, სარგებლიანი ქაღალდები და მერმე მომეტებულ ფასებში გაეყიდნა.

ნატანმა ისე მკვირცხლად წაიყვანა თავის ბანკის სმქე, რომ ხუთის წლის განმავლობაში თავისი თანხა 2500 ჯერ მეტი შექმნა!

მთელი ლონდონის ბირჟის მეუფე ის გახდა. სხვა ბანკირები შიშითა ძრწოდენ—აი დღეს დაგვიკრავს კვერს, აი ხვალ და გაგვაკოტრებსო.

ინგლისი მაშინ ეომებოდა ნაპოლეონ პირველს. ნატანი მიხვდა—რომ ნაპოლეონმა მთელი ევროპა შესძრა და ეს ტყვილა უბრალოდ არ ჩაუვლის იმას... ბოლოს წააგებს ყველაფერსო და სწორედ ამ მიხდომის და დარწმუნების შემდეგ დაიწყო იმ სარგებლიან ქაღალდებით ვაჭრობა, რომელსაც ამ ომთან რაიმე დამოკიდებულება ჰქონდა. ყველა ბანკირებს ნაპოლეონის შიში ჰქონდათ, სწამდათ რომ ის მოიგებს ყოველთვის და დიდ ფასს აძლევდნენ იმ ქაღალდებში, რომლებსაც ნაპოლეონთან რაიმე თვისება ან კავშირი ჰქონდათ და სხვა სარგებლიან ქაღალდებს კი უფრო ნაკლებ, მცირე ფასებში ჰყიდდნენ. ნატანი ამით სარგებლობდა. ყველგან თავისი აგენტები ჰყავდა, მართებლობაზე და მინისტრებზედ უფრო მალე ტყობულობდა ომის და სხვა სახელმწიფო ამბებს და ამის შესაფერად მოქმედობდა — იყიდიდა ფას-დაცემულ ქაღალდებს და მეორე დღეს, როდესაც ყველა გაიგებდა რაც ამბავი მომხდარა — ამ ქაღალდებს მოემატებოდა ფასი და ნატანი მაშინვე გასყიდვას მოჰყვებოდა.

იმის სიმარჯვეზედ და მოხერხებაზედ იმდენი ამბებია დარჩენილი, რომ მთელი წლის ნომრებში ვერ დავატევთ, — მაგრამ ერთი უმთავრესი მისი მანქანური ამბავი უნდა აღვნიშნოთ, და რადგან დღეს ამ ფურცლის კალაპოტში მეტს ვეღარას ვატევთ— ხვალისთვის გადავდოთ.

(შემდეგი იქმნება)

ვარ, კოტე დუზაშვილიო. გაჩხრეკის დროს ამ კაცს უპოვნეს 47 მანათი ფული, ხანჯალი და ხმალი. თურმე ეს კაცი ძლიერა ჰგავს ერთ იმ ავაზაკთაგანს, რომელთაც ოქტომბრის დამდეგს შორაპნის მაზრაში ხე-ტყის მოვაჭრე გაძარცვეს.

—

26 ოქტომბერს, თიანეთის მაზრის სოფ. ორხევის მცხოვრებმა ზაქარია ილურიძემ მოჰკლა იმავე სოფლის მცხოვრები გიორგი სულხანიშვილი.

—

22 ოქტომბერს თიანეთის მაზრის ახიელის და კვირა-წმინდის სოფლელების ძნებს ვილაც ბოროტ-გამზრახველთ ცეცხლი წაუკიდეს. ზარალი 300 მანეთამდეა.

—

5 ნოემბერს მარიენფელდის ახალშენთან ორი თათარი თავს დაეცა მწყემსს მეზურნიშვილს და ხანჯლით დასჭრეს. დაშავებული მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს. ჭრილობა საშიშია.

### საქალაქო პოლიციის მატიანე.

გუშინ წინ, 5 ნოემბერს, პენზის გუბერნიის კრასნოსლობოდსკის მაზრის, სოფელ ლაპოხოვის მცხოვრებმა ზაინუბდინ ბალგილნდინოვმა სასახლის ქუჩაზედ ეტლი დაატაკა ხუთი წლის ყმაწვილს გიორგი ავეტისოვს და მარჯვენა ხელი დაუშავა. ყმაწვილი დედამ წაიყვანა საკუთარს ოჯახში და მეეტლე ზეინუბდინ ბალგილნდინოვი პასუხის გებაში მისცეს.

—

გუშინ, ათ საათზედ, სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებაში მივიდა გლეხი ვასილ კონსტანტინეს ძე შილნიკოვი, მცხოვრები სოფელს ილინსკში, ვიატსკი გუბერნიაში. შილნიკოვს ერთად ერთი თუმანი ჰქონია და უნდა შაენახა კასაში. ვილაცას ჩაუყვია ხელი ჯიბეში და ქისა ერთი თუმნით და მიცემული სიმ ფეროპოლის ხაზინიდგან ასი მანათის მომგებიანი ქაღალდით ამოეცალა. საცოდავი შილნიკოვი გამოიქცა და პოლიცმეისტერს გამოუცხადა თავის უბედურება.

---

## თეატრის მატიანე.

—

### ქართული წარმოდგენა ახალ-სენაკში.

წარსულს 29 ოქტომბერს, ახალ-სენაკის საზოგადო საკრებულო დარბაზში სცენის მოყვარეებმა კნეინა ანეტა მხეიძის თაოსნობით წარმოადგინეს ქართულ-რუსული წარმოდგენა. 1) „ბუტიაობა“ ვოდ. 1 მოქ. ა. წერეთლისა, 2) ცოლი თუ გინდა ეს არის!“ ვოდ. 1 მოქმედ. ვ. აბაშიძისა და 3) რუსული „Нечаяное огорченіе“ ვოდ. 1 მოქმედ. ი. ბალდიეევისა. დასასრულ დაიდგა ცოცხალი სურათები. ქართულ წარმოდგენაში მონაწილეობა მიიღეს: ქ-ნთ კნიაჟნა ო. დადიანისამ, ფ. კალანდარიშვილისამ და მ. ლაზარენკოსამ, ბ-ნთ: ვ. ლომინაძემ, კ. ხოფერიამ, ს. სახოკიამ, ვ. ელიავამ და ნ. გაბუნიამ. რუსულში: ქ-ნმა ჩეკინიმ. ბ-ნ გ. ბუდაგოვსკიმ და პროსკურიანმა. წარმოდგენამ ერთობ მხიარულად ჩაიარა. განსაკუთრებით კი ქართულმა «ბუტიაობამ». მოთამაშეებს როლების კარგად შესწავლაში შრომა და მეცადინეობა არ დაუზოგავთ. საზოგადოება ბლომად დაესწრო და ყველანი დიდად ნასიამოვნები დარჩნენ. ამ წარმოდგენიდან შემოსული ფული, ხარჯს გარდა, დანიშნულ იყო აქაურ დედათა სკოლის სასარგებლოდ. მოთამაშეების გარდა მადლობის ღირსნი არიან: კნეინა ანეტა მხეიძისა, რომელმაც ამ კეთილ საქმეში დიდი შრომა გასწია; აგრეთვე ბ-ნი მ. დიდებულიძე, რომელსაც არა მცირე შრომა მიუძღვის წარმოდგენების მართვაში ახალ-სენაკსა და მის მიდამოში.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ბილეთების ფასი ერთობ დიდი იყო. სასურველია, შემდეგში მაინც არ მოხდეს ესა. ჩვენის აზრით, სანამ ხალხი მიეჩვეოდეს წარმოდგენას, რაც შეიძლება ბილეთები დაკლებულ ფასათ უნდა იყიდებოდეს. უკანასკნელი ბილეთების ფასი მანათი ერთობ დიდია. უკანასკნელ ადგილების ფასი არ უნდა აღემატებოდეს 30—50 კაპ. მაშინ წარმოდგენებზედ მდაბიო ხალხს არ გაუჭირდება დასწრება და მათთვის კი უფრო საჭირო წარმოდგენების ნახვა, ვიდრე განათლებულთათვის...

—

რუსული დრამა. გუშინ წინ სათავად აზნაურო თეატრში არტისტი ქალი მარინა-მორსკაიას მონაწილეობით წარმოადგინეს სუვორინის და ბურენინის დრამა „მედია“. ეს პიესა კარგად ცნობილია რუსეთში და ქართველ საზოგადოებამაც იცის ჩვენი ნიჭიერი არტისტი ქალის ეფ. მესხის თამაშობით შარშანდელ სეზონში.

მარინა-მორსკაია ჩინებული არტისტია და მედიას როლი თითქმის უნაკლოდ შეასრულა. განსაკუთრებით არტისტ ქალმა საუცხოვოდ ჩაატარა მეორე და მესამე მოქმედება. ხმა, სახე, მიხვრა-მოხვრა, ტანთ-ჩაცმულობა საუცხოვოდ ჰქონდა შეთანხმებული. საზოგადოება დიდად ნასიამოვნები დარჩა მარინა—მორსკაიას თამაშობით და მრავალ ჯერ გამოიწვიეს, ტაშის კვრით ანტრაქტებში. შემდეგი წარმოდგენა დანიშნულია პარასკევს.

—

სომხურ არტისტ ქალს ღრაჩიას ამ თვის დამლევში თურმე ოცდახუთი წლისთავი შეუსრულდება, რაც სცენაზე თამაშობს. ღრაჩია სწორედ ნიჭიერი არტისტი ქალია და ამ რამდენისამე წლის წინეთ თბილისშიაც თამაშობდა. ეხლა როგორც შევიტყეთ ღრაჩიას ნიჭის პატივ-მცემელნი აპირობენ ამ ცოტას ხანში საიუბილეო წარმოდგენა გამართონ და შესაფერად იდღესასწაულონ 25 წლის მოღვაწეობა სცენაზე ნიჭიერის მოთამაშისა. თვითონ ღრაჩია სტამბოლელია და მომღერლად იქ თამაშობდა.

—

### უცხოეთის თეატრები.

ჩერნოგორიის მთავრის ნიკოლოზის დრამა «ბალკანის დედოფალი», რუსულად უკვე ნათარგმნი, ეხლა სერბულ ენიდგან შტიუგმეს გერმანულად გადაუთარგმნია. შტიუგმეს თარგმანის წინასიტყვაობაში რამდენიმე საყურადღებო ცნობა მოჰყავს ავტორის და მისი ლიტერატურულ მოღვაწეობის შესახებ. მთავარი ნიკოლოზი ოთხი წლისწადი ქ. ტრიესტში და სამიც პარიზში, Louis-le-Grand-ის კოლლეჯში სწავლობდა. მისი ლირიკულნი თხზულებანი სხვა-და-სხვა ევროპიულ ენაზედ არიან გადაღებულნი, ხოლო ბევრნი მათგანი ჩერნოგორელების საყვარელ ხალხურ სიმღერებად შეიქმნენ. მთავრის მამა მირკო და პაპა პეტრე II-ე მწერლობაში მონაწილეობას იღებდნენ და ხალხურ პოეტებათ ითვლებიან. დრამა „ბალკანის დედოფალი“, რომლის შინაარსი ისტორიულია, აღებულია ჩერნოგორიის XV საუკუნეს ცხოვრებიდან და წარმოადგენს ჩერნოგორელების პატრიოტიზმს და მამაცობას ოსმალებთან ბრძოლის დროს, აგრეთვე ჩერნოგორელი დედაკაცების მამულისადმი თავგანწირულებას,—გადაკეთებულ იქმნა ოპერისათვის.

—

ბერლინში დაარსდა ახალი საზოგადოება „ბერლინის დრამატიული საზოგადოება“. საზოგადოებას აზრათ აქვს ზრუნვა დრამატიულის განათლებისა და მწერლობის განვითარებისათვის. საზოგადოება აპირობს ექვსიოდე წარმოდგენის გამართვას, რომელზედაც მისს წევრთ შეეძლებათ უფასოდ დასწრება. საზოგადოების წევრთა შორის გამოჩენილი მწერალი ზუდერმანიც არის.

---

### წერილი რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო!

ნება გვიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით მადლობა გადავუხადოთ იმ პირთ,—რაკი ცალ-ცალკე ყველასადმი წერილების დაგზავნა მოუხერხებელია,—რომელთაც მამი ჩვენის, თ. ნიკოლოზ ტარიელის ძის დადიანის გარდაცვალების გამო შორიდგან ნუგეში გვცეს და პირში მყოფნი შვილები, გაგვამხნევეს.

აგრეთვე დიდს მადლობას ვწირავთ ქ. ფოთისა და სენაკის მაზრის საზოგადოებას, რომელთაც ისრე დიდი პატივი სცეს მიცვალებულს.

ვთხოვთ სხვა გაზეთების რედაქციებსაც, გადაბეჭდონ ეს წერილი.

თ. თ. მარიამ და შალვა დადიანები.


## განცხადებანი

წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში

მოიკითხეთ შემდეგი წიგნები,

შედგენილი და ანუ გამოცემული

მ. ჯანაშვილის—მიერ.

ა) შოთა რუსთაველი, . . ფ. 40 კ.

ბ) ფარსადან გორგიჯანიძე და მისნი შრომანი . . . „ 40 კ.

გ) მ. ხონელი და მისი ამირან-დარეჯანიანი. . . . „ 10 კ.

დ) ისტორია მართმადიდებელ ეკკლესიისა . . . . „ 40 კ.

ე) გეოგრაფია ქართლისა (შედგ. ვახუშტის მიერ). „ 25 კ.

ვ) სამცხოსა (მისივე) . . . „ 25 კ.

ზ) ათასერთი ღამე (თარგმანი) „ 40 კ.

ჱ) მწერლობა მეათე საუკუნისა. 40 კ.

თ) საუნჯე მეათე საუკუნისა „ 20 კ.

ი) საქართველოს ისტორია „ 70 კ.

ია) ოლვადგინე . . . . . . „ 30 კ.

(4—2)

---

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1897 ГОДЪ НА ГАЗЕТУ

„КАСПІЙ“

(XVII годъ изданія).

Въ 1897 году „Каспій“ будетъ выходить въ Баку ежедневно, кромѣ дней послѣ-праздничныхъ, по прежней программѣ газеты литературной, общественной и политической, съ обширнымъ нефтянымъ отдѣломъ.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

Съ доставкой: на 12 мѣс.—7 р., на 11 мѣс.—6 р. 50 коп., 10 мѣс.—6 р., на 9 мѣс.—5 р. 50 к., 8 мѣс.—5 р., на 7 мѣс.—4 р. 50 к., на 6 мѣс.—4 р., на 5 мѣс.—3 р. 50 к., на 4 мѣс.—3 р., на 3 мѣс. 2 р. 50 к. на 2 мѣс.—2 р. и на 1 мѣс.—1 р.

Съ пересылкой: на 12 мѣс.—8 р. 50 к., на 11 мѣс.—7 р. 50 к., на 10 мѣс.—7 р., на 9 мѣс.—6 р. 50 к., на 8 мѣс.—6 р., на 7 мѣс.—5 р. 50 к., на 6 мѣс.—5 р., на 5 мѣс.—4 р. 50 к., на 4 мѣс.—4 р., на 3 мѣс. —3 р., на 2 мѣс.—2 р. 50 к. и на 1 мѣс.—1 р. 50 к.

За-границу:

На годъ . . . . . . 13 руб.

полгода. . . . . 7

Допускается разсрочка платежа подписныхъ денегъ на слѣдующихъ условіяхъ: при подпискѣ вносится не менѣе 3 руб. городскими и 4 руб. 50 коп. иногородными подписчиками; затѣмъ 15 февраля—2 руб. и 15-го марта—2 руб.

Иногородные адресуютъ свои требованія: въ Баку, въ редакцію газеты „Каспій“.

Лица, подписавшіяся (безъ разсрочки) на годовое изданіе „Каспій“ 1897 г. въ настоящее время, будутъ безплатно получать газету въ текущемъ году со дня подписки.

Подписка принимается: въ Баку—въ конторѣ газеты, Армянская улица, домъ Красильникова; въ Тифлисѣ—въ книж. магазинѣ Хидикеля у. И. К. Словинскаго; въ Кутаисѣ—при книжномъ магазинѣ братьевъ Чиладзе, противъ собора, на Тифлисской ул., собственный домъ; въ Батумѣ—при книжно-газетномъ агентсвѣ М. Николадзе, въ Елисаветополѣ—у Г. А. Альтгаузена, при его торговлѣ аптекарскими товарами; въ Москвѣ—въ конторѣ Метцль; въ Н. Новгородѣ—въ Рождественскомъ газетномъ кіоскѣ и во всѣхъ известныхъ книжныхъ магазинахъ столицъ и провинціи.

(1—2)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 6-го Ноября, 1896 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. ხიკ. ქ. № 21. რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია